



სამაგისტრო პროგრამა "საჯარო მმართველობა" სასწავლო პროცესისა და გამოცდების მარეგულირებელი წესი

შინაარსი

| | |
|--|-------------------------------------|
| §1. ზოგადი ინფორმაცია | Error! Bookmark not defined. |
| § 2. პროგრამის მიზნები და ამოცანები..... | Error! Bookmark not defined. |
| § 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა..... | Error! Bookmark not defined. |
| § 4. დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე | Error! Bookmark not defined. |
| § 5. პროგრამის ხელმძღვანელობა | Error! Bookmark not defined. |
| § 6. სწავლის ხანგრძლივობა | Error! Bookmark not defined. |
| § 7. მოდულები..... | Error! Bookmark not defined. |
| § 8. სასწავლო პრაქტიკა | Error! Bookmark not defined. |
| § 9. საზაფხულო სკოლა..... | Error! Bookmark not defined. |
| § 10. სასწავლო პროცესი და გამოცდები | Error! Bookmark not defined. |
| § 11. სამაგისტრო ნაშრომი | Error! Bookmark not defined. |
| § 12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები | Error! Bookmark not defined. |
| § 13. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა..... | Error! Bookmark not defined. |
| § 14. სწავლების შედეგის მიღწევის მეთოდები | Error! Bookmark not defined. |
| § 15. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა..... | Error! Bookmark not defined. |
| § 16. პროგრამის აკადემიური პერსონალი..... | Error! Bookmark not defined. |

- დანართი 1 – მოდულების ჩამონათვალი
- დანართი 2 - სასწავლო პრაქტიკასთან მიმართებაში მოქმედი წესები
- დანართი 3 - საზაფხულო სკოლასთან მიმართებაში მოქმედი წესები
- დანართი 4 - სასწავლო გეგმა სემესტრების მიხედვით
- დანართი 5 - დეკანის ბრძანება N41
- დანართი 6 – სტუდენტთა დასწრების ფურცელი

§ 1. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება: საჯარო მმართველობა

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ქ.შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის თანამშრომლობის საფუძველზე.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
მიმართულებათაშორისი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

სწავლების ენა: ინგლისური, ქართულენოვანი კომპონენტებით

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:
საჯარო მმართველობის მაგისტრი (Master of Public Administration)

პროგრამის მოცულობა: 120 ECTS (კრედიტი)
ერთი კრედიტი უთანაბრდება სტუდენტის მუშაობის 25 საათს.

§ 2. პროგრამის მიზნები და ამოცანები

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მომავალი საჯარო მოხელეების მომზადებას, თანამედროვე საჯარო ადმინისტრირების მოთხოვნების შესაბამისად. ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და დამოუკიდებელი კვლევის უნარის მქონე კადრების მომზადება.

პროგრამის მიზანია სტუდენტმა შეისწავლოს საჯარო მოხელესათვის აუცილებელი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები, ეკონომიკური სტანდარტები, ევროვნულ სამართლებრივ სისტემებში ევროკავშირის მმართველობის ინტეგრირების პროცესები, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და განხორციელების თავისებურებები და სხვა.

„საჯარო მმართველობის“ კურსდამთავრებულები შეძლებენ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში.

§ 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამართლის, ეკონომიკის, ისტორიის, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერების დარგში (მიიღებიან, მხოლოდ აკრედიტებული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები).

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით დაძლევა (უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ)

გ) ინგლისური ენა (B2 დონე) - გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ. ასევე კანდიდატებს შესაძლებლობა აქვს წარმოადგინონ ინგლისური ენის ცოდნის

დამადასტურებელი სერთიფიკატი, მინიმუმ B2 დონე, რა შემთხვევაშიც, ისინი განთავისუფლდებიან უცხო ენის გამოცდისაგან.

დ) გასაუბრება (ინგლისურ ენაზე) გერმანულ და ქართველ პროფესორებთან- ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით დაძლევის შემდეგ (მინიმუმ 51 ქულა), კანდიდატები გასაუბრებას გაივლიან ინგლისურ ენაზე. მისაღები კომისია შედგება 4-5 პირისაგან, როგორც თსუ-ს, ასევე, შპაიერის უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან. გასაუბრების ხანგრძლივობა 10-20 წუთია. ფასდება როგორც სტუდენტის კვალიფიკაცია და მოტივაცია, ისე ინგლისური ენის ცოდნის ხარისხი. შეფასება ხდება 51-100 ქულამდე სისტემით და გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ხმების სრული უმრავლესობით. წარმოდგენილი კანდიდატებისაგან აირჩევა მხოლოდ 25 სტუდენტი. გადაწყვეტილება საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება თსუ-ს ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომი ხდება ყველა დაინტერესებული პირისათვის. რექტორის მიერ ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე, იმ კანდიდატებს, რომელთაც მიიღეს 51 ქულაზე ნაკლები, უფლება აქვთ მიმართონ სააპელაციო კომისიას, სპეციალურად განსაზღვრულ დროში, რომელიც ხელახლა განიხილავს კანდიდატის ჩარიცხვის საკითხს. სტუდენტების შერჩევისას უპირატესობა მინიჭება იმ სტუდენტებს, რომლებსაც უფრო მაღალი დიპლომის საშუალო ქულა (GPA) ექნება.

§ 4 დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე

პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს განათლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში, იმ სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც დაშვების წინაპირობად მიიჩნევა საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.

§ 5. პროგრამის ხელმძღვანელობა

პროგრამის ხელმძღვანელობა მიმდინარეობს კოლეგიალურ საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან - პროფესორი ირაკლი ბურდულის და გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტიდან - პროფესორი კარლ-პეტერ ზომერმანის მიერ. ამასთანავე, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შექმნილია პროგრამის აკადემიური საბჭო, რომელიც წელიწადში სულ მცირე ორჯერ იკრიბება. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელები, პარტნიორი ორგანიზაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი, პროგრამის ერთი კურსდამთავრებული და პროგრამის ერთი მოქმედი სტუდენტი, რომელიც არჩეულია სხვა სტუდენტების მიერ მათ წარმომადგენლად.

აკადემიური საბჭოა ამოცანები:

- შეიმუშაოს პროგრამასთან დაკავშირებული წესები და მოდულები;
- კოორდინაციაში მოიყვანოს მოდულები და მათი შინაარსი;
- შეარჩიოს პროფესორ-მასწავლებლები პროგრამისთვის;
- შეარჩიოს პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ზედამხედველობას გაუწევენ სასწავლო პრაქტიკას და უხელმძღვანელებენ სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას;
- პროგრამის შეფასება და მისი დიდაქტიკური და სამეცნიერო განვითარება.

აკადემიური საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ - პირველი სემესტრის დაწყებამდე და მეოთხე სემესტრის დასასრულს ან საჭიროების შემთხვევაში. პროგრამის

კოორდინატორები ასევე ესწრებიან აღნიშნულ კრებებს. არსებითი შინაარსის გადაწყვეტილებები დასამტკიცებლად წარედგინება თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ასევე თსუ-ს აკადემიურ საბჭოს.

§ 6. სწავლის ხანგრძლივობა

სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა არის 5 სემესტრი. მეორე და მეოთხე სემესტრის შემდეგ გათვალისწინებულია 8-კვირიანი სავალდებულო პრაქტიკა საქართველოსა და ევროპის რომელიმე ქვეყანაში, მეოთხე სემესტრის შემდეგ ორკვირიანი საზაფხულო სკოლა შპაიერის უნივერსიტეტში. მეხუთე სემესტრი ეძღვნება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას.

§ 7. მოდულები

პროგრამა შედგება 11 სასწავლო მოდულისაგან, აქედან 9 თეორიული კომპონენტებისაგან შემდგარი მოდული, ერთი პრაქტიკული და ერთი სამეცნიერო-კვლევითი მოდული. თეორიული კომპონენტებისაგან შემდგარი მოდულებიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 66 კრედიტი, მათ შორის სავალდებულო 60 კრედიტი და არჩევითი 6 კრედიტი.

პრაქტიკული მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 24 კრედიტი: საზაფხულო სკოლა – 4 კრედიტი; პრაქტიკა საქართველოში 10 კრედიტი და 10 კრედიტი ევროპის ქვეყნებში გავლილი პრაქტიკისათვის.

სამეცნიერო-კვლევითი მოდულში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 30 კრედიტი, მათ შორის 4 კრედიტი აკადემიურ წერაში და 26 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

პროგრამის სასწავლო მოდულები

1. სამართლის საფუძვლები

აღნიშნულ მოდულში წაკითხულ იქნება, უპირველეს ყოვლისა, ყველა ხელისუფლების კანონიერი ბოჭვის პრინციპი, მათი მოქცევა კონსტიტუციის ჩარჩოებში და ადამიანის ძირითად უფლებათა როლი სახელმწიფოს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

| # | საგანი | კრედიტი |
|----|--|---------|
| 1. | საკონსტიტუციო სამართალი შედარებით პერპექტივებში (ქართულ და ევროპულ კონტექსტში) | 4 |
| 2. | საჯარო მმართველობის სამართლებრივი კონტროლი | 3 |
| 3. | ადმინისტრაციული სამართალი ძირითადი პრინციპები (ქართულ და ევროპულ კონტექსტში) | 4 |

2. საჯარო მმართველობა ევროპულ კონტექსტში

მოდული შეეხება თემის - სახელმწიფო მართვა და ადმინისტრირება - ძირითადი ცნებების განვრცობას, გააკეთებს რა აქცენტს მართვის სწავლებისა და დემოკრატიულობის პრინციპის მეცნიერულ კვლევებზე, ადმინისტრაციულ და თვითმმართველობის მეცნიერების შედარებითსამართლებრივი იურიდიული დოგმატიკის განვითარებასა და მათი ევროპეიზაციის ძირითად მიმართულებებზე.

| # | საგანი | კრედიტი |
|----|--|---------|
| 1. | მმართველობა ევროკავშირის მრავალსაფაზურიან სისტემებში | 4 |
| 2. | ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი | 3 |
| 3. | ევროკოოპერაცია და ინტეგრაცია | 3 |
| 4. | ევროგაერთიანება და მისი საჯარო მმართველობა | 2 |

3. სახელმწიფო და ეკონომიკა

მოდულში განიხილება ის, თუ კონკრეტულად რომელი ფუნქციები განეკუთვნება სახელმწიფოს ამოცანათა სამართლებრივ ბუნებას და თუ რა ძირითად სამართლებრივ პრინციპებსა და ნომებზე უნდა იქნეს ის დაფუძნებული. სახელმწიფოს ფუნქციების თეორიული კუთხით განხილვის გარდა, წარმოდგენილ იქნება სახელმწიფოს მოქმედების მიზნები, ამ მიზნის მისაღწევად განკუთვნილი ინსტრუმენტები (როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური) და ამ ურთიერთქმედებაში მონაწილე სახელმწიფო მოხელეთა სამართლებრივი სტატუსი.

| # | საგანი | კრედიტი |
|---|--|---------|
| 1 | ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები | 4 |
| 2 | კონკურენციის პოლიტიკა, რეგულირება და საჯარო ინიციატივები | 4 |

4. ორგანიზაცია და მენეჯმენტი

მოდულის ფარგლებში შესწავლილი იქნება საჯარო სამსახურის ინსტრუმენტები; მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები.

| # | საგანი | კრედიტი |
|---|--|---------|
| 1 | პროცესის მენეჯმენტი და ელექტრონული მართვა | 4 |
| 2 | სტრატეგიისა და ხარისხის მართვის მენეჯმენტი | 3 |
| 3 | ადგილობრივი თვითმმართველობა და ადმინისტრაციული რეფორმა | 3 |

5. ბიუჯეტი და ფინანსები

მოდულში განხილული იქნება საჯარო ფუნქციების დაფინანსების ინსტრუმენტები და წყაროები თავისი გამოწვევებით, რომელიც დემოგრაფიული და ეკონომიკური განვითარების პროცესებიდან მომდინარეობს.

| # | საგანი | კრედიტი |
|---|--|---------|
| 1 | საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება | 3 |
| 2 | ეკონომიკური კონტროლი და ანალიზი | 3 |

6. პერსონალი და მენეჯმენტი

ზემოაღნიშნული მოდული, ზოგადად, გამიზნულია საჯარო სამსახურის ინსტიტუტის შესწავლაზე როგორც ქვეყნის შიდა სტაბილურობისა და განვითარებაუნარიანობის წარმატების უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე. მოდული მოიცავს საჯარო სამსახურის სტრუქტურის და ფუნქციონირების ანალიზს, რომელიც მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურის ამოცანების (ფუნქციების) პროფესიონალურ დონეზე განხორციელებისთვის.

| # | საგანი | კრედიტი |
|---|--------------------------------------|---------|
| 1 | პერსონალის მართვის მენეჯმენტი | 2 |
| 2 | სამოხელეო სამართალი | 2 |
| 3 | სამოხელეო სამართლის კულტურა და ეთიკა | 2 |
| 4 | ცვლილებების მენეჯმენტი | 2 |

7. კომუნიკაცია

ამ მოდულში საუბარი იქნება საჯარო სამსახურის სექტორში კომუნიკაციის მნიშვნელობაზე. მოდულის შედეგად დაინტერესებული პირები შეიძენენ საჯარო სამსახურში კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს.

| # | საგანი | კრედიტი |
|---|---|---------|
| 1 | კომუნიკაცია სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის; კომუნიკაცია პოლიტიკოსებსა და საჯარო მოხელეებს შორის | 3 |

8. არჩევითი მოდული

| # | საგანი | კრედიტი |
|---|--|---------|
| 1 | ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შედგენის ტექნიკა; სახელმწიფო ორგანიზაციის სამართლებრივი საფუძვლები და საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობა | 3 |
| 2 | ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა/საჯარო ხარჯების დაფინანსება | 3 |
| 3 | მუნიციპალური სამართალი | 3 |
| 4 | კერძო-საჯარო თანამშრომლობა /PPP | 3 |

9. უცხო ენა (გერმანული)

| | საგანი | კრედიტი |
|---|-----------------|---------|
| 1 | გერმანული ენა 1 | 2 |
| 2 | გერმანული ენა 2 | 2 |

10. პრაქტიკული მოდული

პრაქტიკა შეიძლება შეთავაზებული იყოს ზაფხულის სემესტრში.

| | საგანი | კრედიტი |
|---|--------------------------------|---------|
| 1 | პრაქტიკა სქართველოში | 10 |
| 2 | პრაქტიკა საზღვარგარეთ (ევროპა) | 10 |
| 3 | საზაფხულო სკოლა | 4 |

11. სამეცნიერო კვლევითი მოდული

| # | საგანი | კრედიტი |
|---|--------------------|---------|
| 1 | აკადემიური წერა | 4 |
| 2 | სამაგისტრო ნაშრომი | 26 |

(მოდულების დახასიათება და სტრუქტურა იხ. დანართი 1-ში)

§ 8. სასწავლო პრაქტიკა

სასწავლო კურსის ძირითადი მიზანია მაგისტრანტს გამოუმუშავდეს მაგისტრატურაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. ასევე გაეცნოს სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობას და მათ მექანიზმს, შეისწავლოს კონკრეტული საკითხის პრაქტიკული განხილვისა და მოგვარების ხერხები. სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები ნაწილდებიან სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში (მაგ.: სამინისტროები, პარლამენტი, მერია და ა.შ) ან საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც ისინი ზედამხედველი თანამდებობის პირის კონსულტაციის საფუძველზე ახორციელებენ შესაბამის საქმიანობას.

პრაქტიკული კურსის სრული მოცულობა არის 16 კალენდარული კვირა – 8 კვირა საქართველოში და 8 კვირა საზღვარგარეთ. მაგისტრანტები სრული დატვირთვით ეწევიან პრაქტიკულ სამუშაოს კვირის სამუშაო დღეებში, შაბათ-კვირის გარდა. პრაქტიკული კურსი საქართველოს შესაბამის დაწესებულებებში გათვალისწინებულია პროგრამის მეორე სასწავლო სემესტრის ბოლოს, ხოლო პრაქტიკა საქართველოს ფარგლებს გარეთ გათვალისწინებულია პროგრამის მეოთხე სასწავლო სემესტრისათვის.

პრაქტიკული კურსის გავლა საქართველოში წარმოადგენს სავალდებულო წინაპირობას საზღვარგარეთ პრაქტიკული კურსის გასავლელად.

პრაქტიკასთან დაკავშირებული წესები მოცემულია პრაქტიკული კურსისადმი მოქმედ წესებში (დანართი 2).

§ 9. საზაფხულო სკოლა

საზაფხულო სკოლა შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისაგან და მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემას საჯარო მმართველობის უფლებამოსილებების შესახებ სხვადასხვა დონეზე (მუნიციპალურ, რეგიონალურ, ფედერალურ და ევროკავშირის დონეზე). აქცენტები გაკეთებული იქნება გერმანიის ფედერალურ სახელმწიფოზე, როგორც პრაქტიკულ მაგალითზე. საზაფხულო სკოლა მიმდინარეობს გერმანიაში, ძირითადად, ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტში. საჭიროების შემთხვევაში, მომავალში, შესაძლებელია, საზაფხულო სკოლის ადგილმდებარეობა შეიცვალოს.

საზაფხულო სკოლისადმი მოქმედი წესების სანახავად იხ. დანართი 3.

§ 10. სასწავლო პროცესი და გამოცდები

სასწავლო პროცესთან და გამოცდებთან დაკავშირებით გამოიყენება თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკად. საბჭოს დადგენილება N77/2011).

სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობის“ სასწავლო პროცესი გამოირჩევა იმით, რომ პროგრამის ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე და აკადემიური პერსონალის დიდ ნაწილს უცხოელი ლექტორები წარმოადგენენ. ასევე, გამოცდები ძირითადად წერილობითი ფორმისაა, თუმცა საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება

გამოცდების მთელი სპექტრი: ზეპირი გამოცდა, ღია გამოცდა, პრეზენტაცია, ტესტი, ესე და ა.შ.

პროგრამის სასწავლო გეგმა სემესტრების მიხედვით მოცემულია დანართში 4.

ლექციებზე დასწრება სავალდებულოა, ამასთან დაკავშირებით სტუდენტები ხელს აწერენ დოკუმენტს, რითიც ადასტურებენ ინფორმირებულობას დასწრების სავალდებულობასთან დაკავშირებით და ინფორმირებულობას ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოქმედი წესების შესახებ.

სტუდენტთა დასწრებასთან დაკავშირებული დოკუმენტი იხ. დანართი 5–ში.

§ 11. სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო ნაშრომის წერისათვის სტუდენტებს ეძლევათ ბოლო, მეხუთე სემესტრი. თემის სფეროს და მიმართულებას არჩევენ თავად სტუდენტები, ხოლო კონკრეტული თემები გაიცემა სამაგისტრო თემის ხელმძღვანელების მიერ. სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და მას ამოწმებს ორი კორექტორი, როგორც გერმანული ასევე ქართული მხრიდან.

საზაფხულო სკოლის განმავლობაში სტუდენტებს უტარდებათ სემინარი/პრეზენტაცია, სადაც ისინი გაეცნობიან სამაგისტრო ნაშრომე მუშაობის წესებს. ზოგადი წესები მოცემულია „საგამოცდო თემისადმი მოქმედი წესების შესახებ“ დოკუმენტში, რომელიც დამტკიცებულია იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

§ 12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები

თსუ-ს წესდების მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის და 37 მუხლის მე-4 აბზაცის გათვალისწინებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის პროგრამის ადმინისტრაცია ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შესაძლებლობების ფარგლებში და ხელს უწყობს მათ ყველა არსებული საშუალებით, რათა მათ წარმატებით დაასრულონ სამაგისტრო პროგრამა. ეს შეეხება ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ სპეციალური საცხოვრებელი გარემო.

§ 13. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების ზოგადი წესი:

სტუდენტის ცოდნა ფასდება მაქსიმუმ 100 ქულიანი სისტემით, ხოლო კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს – 51 ქულა;

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

| ქულები | შეფასება |
|--------|-----------------|
| 91-100 | ფრიადი, A |
| 81-90 | ძალიან კარგი, B |

| | |
|-------|----------------------|
| 71-80 | კარგი, C |
| 61-70 | დამაკმაყოფილებელი, D |
| 51-60 | საკმარისი, E |
| 41-50 | ვერ ჩააბარა, FX |
| 0-40 | ჩაიჭრა, F |

ცოდნა და გაცნობიერება

სტუდენტს აქვს საჯარო მმართველობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც კურსდამთავრებულს აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.

კურსდამთავრებულმა იცის:

- საკონსტიტუციო სამართლის ძირითადი პრინციპები, სახელმწიფო უფლებამოსილების განმახორციელებელი ძირითადი ორგანოების მიერ კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვის სტრუქტურა და შინაარსი;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი;
- ეროვნული კანონმდებლობისა და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების პრინციპები, საჯარო ადმინისტრაციის სამართლებრივი კონტროლის მიზნები, პროცედურები და მათი შესრულების/განხორციელების გზები;
- ქართული და ევროპული ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები, ძირითადი ინსტიტუტები, ევროპის საბჭოს (ევროსაბჭოს) ფუნქციები ადმინისტრაციული სამართლის სფეროში;
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შედგენის ტექნიკა, სახელმწიფოს ორგანიზაციული მოწყობის სამართალი;
- ევროკავშირის კონსტიტუციური ასპექტები, ევროკავშირის კანონმდებლობა და ძირითადი ინსტიტუტები (ევროპის პარლამენტი, ევროპის საბჭო, ევროსასამართლოები).
- ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური სისტემა გერმანიაში და საქართველოში; ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციური პასუხისმგებლობები, რესურსები და ორგანიზაცია; სამთავრობო ურთიერთობა სახელმწიფო/ ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს შორის; ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პრინციპები; რეფორმები და სტრატეგიები ადგილობრივ დემოკრატიაში, ერთობლივი რეფორმები და მათი შედეგები.
- ევროკავშირის მრავალსაფეხურიანი მართვის სისტემის თეორიული მიდგომები; ევროპეიზაციის ცნება; ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურა; დემოკრატიული თეორიები და ევროკავშირში ინტეგრაცია; ევროკავშირში შესვლის პოლიტიკა და აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის წევრი სახელმწიფოების ტრანსფორმაცია;
- სამინისტრო ბიუროკრატის ადაპტაცია და რეგიონალიზაციის რეფორმა ახალი წევრი სახელმწიფოებისთვის.
- ეკონომიკის ძირითადი ცნებები, ეკონომიკური ანალიზის მახასიათებელი ინდიკატორების/მაჩვენებლებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები. ბაზრის მარცხის თეორიები, ძირითადი განსხვავებები სამთავრობო და ბაზრის მარცხს შორის, ასევე ამ მარცხის ეფექტური დაძლევის საშუალებები და ინსტრუმენტები;

- პროცესის მენეჯმენტისა და ელექტრონული მართვის უპირატესობები საჯარო მმართველობისათვის; ხელის შემშლელი ფაქტორები პროცესის მენეჯმენტისა და ელექტრონული მართვის განხორციელების პროცესში; ფაქტორები პროცესის მენეჯმენტისა და ელექტრონული მართვის შეზღუდვები კერძო სექტორთან შედარებით; ეროვნული მახასიათებლების მნიშვნელობა ცვლილებების პროცესისათვის;
- სტრატეგიისა და ხარისხის მართვის მენეჯმენტის პრინციპები საჯარო მმართველობაში.
- საჯარო სექტორში ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია; ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების სპეციფიკა, წესები, პრინციპები და მეთოდები;
- ეკონომიკური კონტროლისა და ანალიზის, ასევე ეკონომიკის პოლიტიკის დაგეგმვისა და შეფასებისათვის საჭირო დამატებითი საშუალებები და მექანიზმები. ანალიტიკური საშუალებების ძირითადი საფეხურები, მოსალოდნელი რისკები და შედეგები.
- პერსონალის მართვის მენეჯმენტი;
- სამოხელეო სამართალი;
- ეთიკის მოთხოვნები და სამართლებრივი პრინციპები;
- საჯარო მმართველობის კუთხით ცვლილებების მენეჯმენტის პრინციპები;
- კომუნიკაციის ზოგადი მახასიათებლები და კომუნიკაციის სახეები;

კურსდამთავრებული აცნობიერებს:

- ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.
- ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის ფარგლებში არსებული საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.
- ადგილობრივ/ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში ევროკავშირის მმართველობის ინტეგრირების პროცესში ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს;
- სახაზინო მომსახურების პრინციპებით ბიუჯეტის აღსრულების, ბიუჯეტის შესრულებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების ინტეგრირების პროცესში ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.
- ეკონომიკური კონტროლისა და ანალიზისათვის დისკოტირების გამოყენებით ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.

ამას გარდა კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს შეისწავლოს შემდეგი საგნები: ადგილობრივი თვითმმართველობების სამართალი, საჯარო მართვის ევროპეიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა/ საჯარო ხარჯების დაფინანსება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ახალ გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება;
- შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება.
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შეუძლია კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.

კომუნიკაციის უნარი

სტუდენტს შეუძლია აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი დასკვნები, არგუმენტები და კვლევის მეთოდები.

სწავლის უნარი

სტუდენტს შეუძლია სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვა, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.

ღირებულებები

სტუდენტს შეუძლია ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

§ 14. სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
2. დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
3. ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
4. წიგნზე მუშაობის მეთოდი.
5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

6. **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

7. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.

8. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

9. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

10. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

11. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

12. **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

13. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

14. **წერიტი მუშაობის მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

პროფესორი, შესაძლოა, იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

§ 15. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

პროგრამა ხორციელდება თსუ იურიდიული ფაკულტეტის ბაზაზე, რომლის სასწავლო ფართი წარმოადგენს 2500 მ²-ზე მეტს (აუდიტორიები, საპროფესოროები, ბიბლიოთეკა – იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში ინახება 18000 ეგზემპლარი: მათ შორის – სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები - 12005 ეგზემპლარი, ასევე, ჟურნალები, სასამართლო გადაწყვეტილებები, ლექსიკონები, ნორმატიული მასალა და სხვა ლიტერატურა, ელექტრონული რესურსები; 40 კომპიუტერი.

§ 16. . პროგრამის აკადემიური პერსონალი

➤ *თსუ-ს მხრიდან:*

- სრული პროფესორი- 4
- ასოცირებული პროფესორი- 5
- ასისტენტ-პროფესორი- 1
- მოწვეული ლექტორი - 7

➤ *შპაიერის უნივერსიტეტის მხრიდან:*

- სრული პროფესორი- 5
- მეცნიერ-თანამშრომელი- 5
- მოწვეული ლექტორი - 3

პროფესორების ჩართულობა საგნების მიხედვით იხილეთ შემდეგი ჩამონათვალიში:
(შენიშვნა: ჩამონათვალი არასრულია, შესაძლებელია ცვლილებები)

| ლექტორი | სტატუსი | საგანი |
|-----------------------------|----------------------------------|--|
| <i>კარლ-პეტერ ზომერმანი</i> | <i>სრული პროფესორი-შპაიერი</i> | საკონსტიტუციო სამართალი შედარებით პერსპექტივებში |
| | | საჯარო მმართველობის სამართლებრივი კონტროლი |
| <i>ირაკლი კობახიძე</i> | <i>ასოცირებული პროფესორი-თსუ</i> | საქართველოს საკონტიტუსიო სამართალი |
| | | მუნიციპალური სამართალი |
| <i>პაატა ტურავა</i> | <i>ასოცირებული პროფესორი-თსუ</i> | ზოგადი ქართული ადმინისტრაციული სამართალი |
| <i>პაატა ტურავა</i> | <i>ასოცირებული პროფესორი-თსუ</i> | სახელმწიფო ორგანიზაციის სამართლებრივი საფუძვლები და საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობა |
| <i>მაია კობალეიშვილი</i> | <i>სრული პროფესორი-თსუ</i> | |
| <i>პაატა ტურავა</i> | <i>ასოცირებული პროფესორი-თსუ</i> | ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების შედგენის ტექნიკა |
| <i>ირმა ხარშილაძე</i> | <i>ასოცირებული პროფესორი-თსუ</i> | |
| <i>ულრიჰ შტელკენსი</i> | <i>სრული პროფესორი-შპაიერი</i> | ადმინისტრაციული სამართალი და სახელმწიფო ვალდებულებები |
| <i>თამარ გვარამაძე</i> | <i>ასისტენტ-პროფესორი-თსუ</i> | |
| <i>კონსტანტინე კორკელია</i> | <i>სრული პროფესორი-თსუ</i> | ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი |
| <i>ტანია კლენკი</i> | <i>მოწვეული ლექტორი-შპაიერი</i> | მართვა ევროკავშირის მრავლსაფეხურიან სისტემაში |
| <i>ნანა მაჭარაშვილი</i> | <i>ასოცირებული პროფესორი-თსუ</i> | |

| | | |
|---------------------------|---|--|
| <i>კატერინე სვანიძე</i> | <i>მოწვეული ლექტორი- ოსუ</i> | ევროგაერთიანება და მისი საჯარო მმართველობა |
| <i>ანდრეას კნორი</i> | <i>სრული პროფესორი- შპაიერი</i> | ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები |
| <i>დავით ნარმანია</i> | <i>სრული პროფესორი- ოსუ</i> | კონკურენციის პოლიტიკა, რეგულირება და საჯარო ინიციატივები |
| <i>ანდრეას კნორი</i> | <i>სრული პროფესორი- შპაიერი</i> | |
| <i>ანდრეას კნორი</i> | <i>სრული პროფესორი- შპაიერი</i> | ეკონომიკური კონტროლი და ანალიზი |
| <i>კაი მასსერი</i> | <i>მეცნიერ- თანამშრომელი, ლექტორი-შპაიერი</i> | სტრატეგიისა და ხარისხის მართვის მენეჯმენტი |
| <i>გერჰარდ ფუკნერი</i> | <i>მოწვეული ლექტორი- შპაიერი</i> | ცვლილებების მენეჯმენტი |
| <i>ზიგფრიდ მაგიერა</i> | <i>სრული პროფესორი- შპაიერი</i> | საჯარო მმართველობის ევროპეიზაცია და ინტერნაციონალიზაცია |
| <i>მიხაელ მირშბერგერი</i> | <i>მეცნიერ- თანამშრომელი, ლექტორი-შპაიერი</i> | აკადემიური წერა |
| <i>რაჰელ შომაქერი</i> | <i>სრული პროფესორი- შპაიერი</i> | კერძო-საჯარო თანამშრომლობა /PPP |
| <i>ფრიედერიკე თესელი</i> | <i>მოწვეული ლექტორი- შპაიერი</i> | პროცესის მენეჯმენტი და ელექტრონული მმართველობა |
| <i>მერაბ ლაბაძე</i> | <i>მოწვეული ლექტორი- ოსუ</i> | |
| <i>თეა კასრაძე</i> | <i>ასოცირებული პროფესორი-ოსუ</i> | ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა/საჯარო ხარჯების დაფინანსება |
| <i>ზურაბ თოლორდავა</i> | <i>მოწვეული ლექტორი- ოსუ</i> | საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება |

| | | |
|--|---|---|
| <i>კლაუდია ჰიპპი</i> | <i>მეცნიერ- თანამშრომელი, ლექტორი-შპაიერი</i> | კულტურა და ეთიკა საჯარო მმართველობაში |
| <i>გიორგი ხუბუა</i> | <i>სრული პროფესორი- თსუ</i> | ტერიტორიული მოწყობა და დეცენტრალიზაცია |
| <i>იორგ სენნი</i> | <i>მოწვეული ლექტორი- თსუ</i> | პერსონალის მართვის მენეჯმენტი |
| <i>გერჰარდ ფუკნერი</i> | <i>მოწვეული ლექტორი- შპაიერი</i> | კომუნიკაცია სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის; კომუნიკაცია პოლიტიკოსებსა და საჯარო მოხელეებს შორის |
| <i>ეკატერინე ბასილაია</i> | <i>მოწვეული ლექტორი- თსუ</i> | |
| <i>თამარ ჩახნაშვილი</i> <i>მზია ჩხარტიშვილი</i> | <i>მოწვეული ლექტორი- თსუ</i> | გერმანული ენა |